

ლოქსი

გაზეთი გამოდის

1988 წლიდან

რაიონის საზოგადოებრივ პოლიტიკური გაზეთი

№103 (6480) 26 სექტემბერი ხუთშაბათი 1991 წელი ფანი 5 კაპიკი

უფსკრულთან

ბინძვს საქართველო, ფსიქო-ლოგიკური ვითარების მთელი სირთულე, წმინდა ილია მართლის საზოგადოების ცაგერის ფილიალი მხარს უჭერს ქართლ-ში-ს. გთხოვთ შეუერთდეთ ამ დოკუმენტს, გადადგათ ყველა შესაძლებელი ნაბიჯი შერიგებისაკენ, საქართველოში საყოველთაო სამოქალაქო მშვიდობისათვის.

წმინდა ილია მართლის საზოგადოების ცაგერის ფილიალი.

20 სექტემბერი 1991 წ.

ბინძვს საქართველო, ფსიქო-ლოგიკური ვითარების მთელი სირთულე, წმინდა ილია მართლის საზოგადოების ცაგერის ფილიალი მხარს უჭერს ქართლ-ში-ს. გთხოვთ შეუერთდეთ ამ დოკუმენტს, გადადგათ ყველა შესაძლებელი ნაბიჯი შერიგებისაკენ, საქართველოში საყოველთაო სამოქალაქო მშვიდობისათვის.

წმინდა ილია მართლის საზოგადოების ცაგერის ფილიალი.

20 სექტემბერი 1991 წ.

თქვენი

ქვემოთმოდების

იმდით

ბინძვს საქართველო, ფსიქო-ლოგიკური ვითარების მთელი სირთულე, წმინდა ილია მართლის საზოგადოების ცაგერის ფილიალი მხარს უჭერს ქართლ-ში-ს. გთხოვთ შეუერთდეთ ამ დოკუმენტს, გადადგათ ყველა შესაძლებელი ნაბიჯი შერიგებისაკენ, საქართველოში საყოველთაო სამოქალაქო მშვიდობისათვის.

წმინდა ილია მართლის საზოგადოების ცაგერის ფილიალი.

20 სექტემბერი 1991 წ.

აზრით ფსიქოლოგიურ სიტუაციაში კი მდგომარეობა, ან ცეცხლს, ან ხუმრობას. ხალხი ტირილს სვლის შემთხვევაში ქართულ მელოდიებს.

უამრავი უცხოელი სტუმარი თბილისში, ირვებიან კორესპონდენტები, დღეს საქართველოში შექმნილი ვითარების ობიექტური შეფასება საერთაშორისო თვალთვალში რომ ნახვ და გაიგონებ, ძნელია, ძნელია მოვლენების გაშიფვრა საზოგადოების, აზრის ასე დაქვემდებარება-დახლეჩის ვა. მო.

ლამის 4 საათია. დიდი წრე შემოკრებილიყო ამერიკაში მცხოვრები ქართველის ქალბატონ დოდანა კიხიას გარშემო. მას ყველაფერი აინტერესებს საქართველოს ირგვლივ, განსაკუთრებით რეგიონი ადამიანების, საშუალო ფენის აზრი. კითხვობდა 2 სექტემბრის ინციდენტზე, პრეზიდენტის პიროვნებაზე. აზრი, ბუნებრივია, სხვადასხვა იყო. მაგრამ ერთი საერთო კი იკვეთებოდა—ახლა, სხვა გამოსავალი არაა გარდა ერთი—მხარდაჭერა სჭირდება ეროვნულ მთავრობას. არავინ უარყოფს, რომ პრეზიდენტს, მოვრობას აქვთ შეცდომები, შეუცდომელი არავინ არ არის. ადამიანთა ერთი ნაწილი დღევანდელ ოპოზიციას განაწყენებულ ადამიანთა კრებულს უწოდებს.

ამოქმედდა პრესის კანონი

ქალაქში შევიდა საქართველოს რესპუბლიკის კანონი პრესისა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებათა შესახებ, მასში, კერძოდ, ნათქვამია, რომ რესპუბლიკა უზრუნველყოფს მის ტერიტორიაზე მცხოვრებ ყველა ეროვნულ უმცირესობას მათ მშობლიურ და სხვა ენებზე ინფორმაციის მიღებითა და გავრცელებით.

ეურნა-გაზეთების, გამოცემების, აგრეთვე ტელე და რადიომაუწყებლობის დამოუკიდებელი რედაქციების დაარსების უფლება ენიჭებათ როგორც სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებს, ისე კანონის შესაბამისად შექმნილ და რეგისტრირებულ პოლიტიკურ პარტიებს, საზოგადოებრივ ორგანიზაციებს, მასობრივ მოძრაობებს, შემოქმედებით გავერებს, სხვა გაერო-თანაგებებს, აგრეთვე მოქალაქეებს, რომლებიც მიადგებიან თვრამეტი წლის ასაკს, სწავლა-

დებს, თუმცა მათაც აქვთ არაერთი სამართლიანი მოთხოვნა და ბრალდება. ამის მიუხედავად, დღეს მტრის გული არ უნდა გავუხაროთ, რატომ უნდა მივიყვანოთ საქმე იქამდე, რომ ქართველმა ქართველზე იარაღი აღმართოს, ძმამ ძმის სისხლი დაღვაროს, ოჯახში მამა-შვილი ერთმანეთს დაერიოს ეროვნული, პოლიტიკური კონფლიქტის ნიადაგზე.

როგორც წინა ლამეები, 23 სექტემბერს თეთრად გაათქვამს მთავრობის სახლის წინ შეკრებილმა ადამიანებმა, თეთრად გაათქვამს ოპოზიციონერებმა, მთავრობის სახლისა და უნივერსიტეტის წინ აქციების მონაწილეებმა, და ფაქტურად სრულად საქართველოში.

რატომ, რატომ?—ეს კითხვა უბურღავს ტვინს დღეს ყველა ნორმალურ ქართველს.

24 სექტემბრის დილიდან უზენაესი საბჭოს წინ გაიმართა მისწავლებელთა მანიფესტაცია. ეროვნული მთავრობის მხარდასაჭერად. აქ თითქმის მთელი დღე მიმდინარეობდა მიტინგი, თბილისის უმრავლეს საწარმო-ორგანიზაციათა კოლექტივები მოვიდნენ მთავრობის სახლის წინ პარლამენტის მხარდასაჭერად.

საღამოს შეკრებილთა მიმართ რესპუბლიკის პრეზიდენტმა ბატონმა ზვიად გამსახურდიამ.

მთელს რესპუბლიკაში გამოცხადდა საგანგებო მდგომარეობა.

რესპუბლიკური მნიშვნელობის მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა რეგისტრაცია ხდება საქართველოს იუსტიციის სამინისტროში, ავტონომიური რესპუბლიკის მოსახლეობისათვის გათვალისწინებულია—მისი მთავრობის მიერ განსაზღვრულ ორგანოში, ადგილობრივი მნიშვნელობისა—პრეფექტურაში.

კანონი მეფიოდ განსაზღვრავს მოქალაქეების, მასობრივი ინფორმაციის საშუალებებისა და ეურნალისტთა უფლება-მოვალეობებს. მეგალითად, ეურნალისტს უფლება აქვს არ მოაწესადოს და ხელი არ მოაწეროს ისეთ მასალას, რომელიც ეწინააღმდეგება მის მრწამსს ან დამახინჯებულა სარედაქციო სწორების დროს. თუ სახელმწიფო ან სახელმწიფო ორგანო დაარღვევს ამ კანონს, მათ წინააღმდეგ შეიძლება აღიძვროს სისხლის სამართლის საქმე.

საქართველოს წმინდა ილია

მართლის საზოგადოების თავმჯდომარის

ბატონ ზვიად გამსახურდიას

ამავე საზოგადოების გამგეობის წმინდა ილია მართლის საზოგადოების ცაგერის ფილიალის

მ ი მ ა რ თ ვ ა

მეგნებული აქვს რა რესპუბლიკაში არსებული პოლიტიკური ვითარების მთელი სირთულე, წმინდა ილია მართლის საზოგადოების ცაგერის ფილიალი მხარს უჭერს ქართლ-ში-ს. გთხოვთ შეუერთდეთ ამ დოკუმენტს, გადადგათ ყველა შესაძლებელი ნაბიჯი შერიგებისაკენ, საქართველოში საყოველთაო სამოქალაქო მშვიდობისათვის.

წმინდა ილია მართლის საზოგადოების ცაგერის ფილიალი.

20 სექტემბერი 1991 წ.

მოსავალი—91

რთველი

მალე გვესტუმრება

რაიონის ეკონომიკაში წამყვანი დარგი მევენახეობა და ღვინის წარმოებაა.

სამწუხაროდ, წლების განმავლობაში სხვადასხვა მიზეზების გამო ვერ ვაწარმოებთ მაღალხარისხიან ყურძენს. გლეხურმა მეურნეობამ, რაც თანდათან იკიდებს ფეხს სოფლის მეურნეობაში, ყურძენის ხარისხი უნდა გააუმჯობესოს.

გასულ სამეურნეო წელს ცაგერის ღვინის ქარხანამ მიიღო და გადამუშავა 2500 ტონა, წელს სახელმწიფო დაქვეითა 2000 ტონა ყურძენის მიღება-გადამუშავებას ითვალისწინებს. გასული წელი ქარხანამ 172 ათასი მანეთის მოგებით დაამთავრა, ხოლო მიმდინარე წლის 8 თვეში მოგებამ 352 ათასი მანეთი შეადგინა, რაც ძირითადად, განპირობებული იყო იმით, რომ გამოშვებული იქნა გაცილებით მაღალი ხარისხის ღვინომასალები.

მიმდინარე წელს ქარხნის მთავარი მეღვინის უშუალო ინიციატივით მოხდა 50 ათასი ლალი ღვინომასალის ადგილზე დამუშავება, რამაც ქარხანას საშუალოდ 300 ათასი მანეთის მოგება მისცა. გამომუშავებული „ნახევრად მშრალი“ ღვინომასალის ბაზაზე შევქმენით ახალი მარკა „ლეჩხუმი“, რომელიც მზა პროდუქტის სახით მიიღო მომხმარებელმა.

მიუხედავად სხვადასხვა სამშენებლო მასალებისა თუ საღებავების დეფიციტისა რაიონის ღვინის საწარმოები რთველისათვის მზადებას დროულად შეუდგნენ. ყველა ღვინის საწარმოში წესრიგშია ტარა-მასალა, ტექნოლოგიური მანქანა-დანადგარები, მზადყოფნაშია ლაბორატორიული ხელსაწყოები, ბუღალტრული აღრიცხვის ფორმები.

29 აპრილის მიწისძვრამ ყველაზე დიდი ზიანი ტვიშის ღვინის საწარმოს მიუყენა, საწარმოს უფროსის ტ. გუგავას უნარ-

იანი ხელმძღვანელობით სწრაფი ტემპით მიმდინარეობს აღმინის ტრავმული შენობის მშენებლობა.

ორბელის ღვინის საწარმოში აშენდა ხილის გადამამუშავებელი საამქრო, კაპიტალური რეკონსტრუქცია გაუკეთდა ნარჩენების გადამამუშავებელ საამქროს. აშენდა აქ ტექნოლოგიური გადამამუშავების მანქანა-დანადგარების მონტაჟი მიმდინარეობს.

რთველი ახლოვდება და აქვე მინდა გაგვით „ლეჩხუმის“ მკითხველებს გავაცნო ის, რაც ქარხნის ეკონომიკური და ფინანსური ეფექტის ამაღლების მიზნით პერსპექტივისათვის გვაქვს გამო-წვეული.

ამჟამად ვმუშაობთ და ზემდგომთან ურთიერთშეთანხმების საფუძველზე ვქმნით ახალ მარკას—„ნახევრად წითელს“, რომლისთვისაც ნედლეულად დაბალკონდიციურ ოკლეშის ჯიშის ყურძენს გამოვიყენებთ.

ადგილზევე მოვახდენთ ღვინომასალის დამუშავებას და ვიბრძოლებთ დამუშავებული პროდუქტის საბოლოო ხარისხის მიცემაზე.

მივიღებთ შერჩეულ, ხარისხიან თესლოვან და კურკოვან ხილს, რომლის გადამამუშავების შედეგად შევქმნით ახალი მსუბუქი სასმელის ტექნოლოგიას. უახლოეს პერიოდში გადავწყვეტთ რაიონის ტერიტორიაზე არსებული მინერალური წყლების დამუშავებისა და ჩამოსახსნელ საამქროს მშენებლობის საკითხს.

ქარხნის შრომითი კოლექტივის მთავარი და უპირველესი საზრუნავი მაინც ლეჩხუმში მევენახეობა-მეღვინეობის ტრადიციული დარგის აღორძინება-განვითარება და მის მაღალ თვისობრივ დონეზე აყვანაა.

ჯ. ჩაპვატაძე,

სამტრესტის ცაგერის ღვინის ქარხნის დირექტორი.

196.96
196.96

ადამიანები

მისგან
გვერს
მოქალაქი

სოფელში კარგი ავტორიტეტით სარგებლობს. ხალხის აზრი იშვიათად შეცდებამ და კარგი კაცის სახელს დაუმსახურებლად არავის დაუმყვადრებს.

ია-ვარდით მოფენილი როდო იყო ტყეში საშუალო სკოლის სასწავლო ნაწილის გამგის დავით ასათიანის ცხოვრების გზა. მამა არცა ახსოვს, სულ რამდენიმე თვისა იყო, როდესაც მამამისი ვლადიმერ ასათიანი ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში აქტიური მონაწილეობისათვის 1921 წელს მხედრულად მოკლეს ანტიქრისტიანებმა. მეუღლის სიკვდილით ოჯახი დატყვევდა დედის ბავშვი გადარჩა... შემდეგ კი შიშსა და გაჭირვებაში გაშო-ურდნია ერთადერთი პირში. მამის აღერსა და მზრუნველობას მოკლებულმა ადრე იტვირთა, უკაცო ოჯახის მთელი სიმძიმე, მიუხედავად ამისა ბეჭითად სწავლობდა და საშუალო სკოლაც წარმატებით დაამთავრა 1941 წელს.

იხვევ როგორც ყრმობა, მისი სიკბაბუცე უსიხარულო აღმოჩნდა და როცა ფრთები უნდა გაეშალა სასაბურთალოს ომიც დაიწყო რატომ უნდა, ჯერ კიდევ უწყვერული კბაბუცე ომში გაიწვიეს, ბევრი ტანჯვა გამოიარა, მაგრამ ერთადერთი შვილი ალბათ დედის მხურვალე ლოცვამ თუ ღაფარა ან მამის უმანკო სისხლმა, ვლადიმერ ასათიანის ოჯახში კერა არ გაიკვდა. დავითი მეორე ჭაფუფის ინვალიდი დაუბრუნდა ოჯახს.

კვლავ დაუცხრომელი შრომა დაოჯახდა კიდევ და სტუდენტობა გახდა, 1950 წელს კი დაუსრულებლად ამთავრებს ქუთაისის პედაგოგიურ ინსტიტუტს და პედაგოგის პროფესიით უბრუნდება სოფელს.

1972 წელს ნიშნავენ ტყეში საშუალო სკოლის სასწავლო ნაწილის გამგედ. იმ დღიდან მოყოლებული მისი მზრუნველი ხელი ატყვია ყოველივეს. არის საოცრად საქმიანი და პრინციპული. მისი სიტყვა და საქმე ერთია. გული შესტივია ყოველგვარ საქირობა. როცა საკითხზე და მთელი ენერგიით იღვწის ტყეში საშუალო სკოლაში სასწავლო-სააღმწერდლო პროცესის მაღალ დონეზე წარმართვისათვის. მისი ინიციატივით მრავალჯერ გაკეთებულა საზოგადო საქმე, შეკეთებულა სოფლის გზა, სატელეფონო ანძა. წელს კი, როცა მიწისძვრამ დაახინა სკოლის შენობა და სკოლის დამხმარე ნაგებობები, დავითმა მშობელთა კომიტეტი მოაწვია და მისი უშუალო მონაწილეობით მცირე რემონტი გაუკეთდა სკოლას, ხალხი დამხმარე ნაგებობა ახალი აშენდა.

ახლა, როცა ჩვენი სამშობლო იბრძვის დამოუკიდებლობისათვის, გასაკვირი არ არის, რომ დ. ასათიანი უყოყმანოდ შეუერთდა სამშობლოს თავისუფლების იდეას.

პოლიტიკურმა ბლოკმა „მრგვალი მაგიდა თავისუფალი საქართველო“ იგი დეპუტატობის კანდიდატად დაასახელა, ხალხმა სოფლის საკრებულოს წევრად აირჩია და მისგან კიდევ ბევრს მოელოს.

დარეჯან ლაპხინელიანი
ტყეში საშუალო სკოლის პედაგოგი.

ოჯახში მისვლისას პირველ რიგში უფროსი დისახლის მოვლა, ნავეთში არის, მითხრეს, თითქმის წინსწარაც ვიცოდი, რომ ამ დროს იგი სახლში არ დაბრუნდებოდა. მეც ამაზე უკეთესს რას ვინატრებდი, საშუალება მეძლეოდა მშრომელ ადამიანს შრომის პროცესში გაესაუბრებოდა.

ნათქვამია, ადამიანი ბედნიერებისათვის ჩნდება. სოფელ წიფერში ალბათ ერთი თუა ბედნიერი, მეორე მერი ხეცურიახი, და რა უნდა იყოს იმაზე მეტი ბედნიერება, როცა ერთ ჯერზე თექვსმეტი ადამიანი ცხოვრობს. თითქმის არც უნდა იყოს ეს ციფრი გასაოცარი, მაგრამ დღეს, როცა ყურს იშვიათად ხედება სახელები მრავალშვილიან ოჯახებისა, რატომღაც გამორჩეულია.

მეუღლესთან ერთად ხუთი ვაჟი გაზარდა, ხუთივე პატრონები, ალალ-მართლები, გამტანები, სასახელები, ერთი სიტყვით, ყველანი ისეთები, დაუფიქრებლად რომ შეგვიძლია ვთქვათ: ნამდვილი ქართველი ბიჭები არიანო, ხუთიდან ოთხი დააქორწინა, რა გასაკვირია, რომ კარგ ოჯახს კარგი რძეები შეხვედროდა. ბედნიერ ფეხზე მიგვიდა ქალბატონი მერის ოჯახში, ოთხი, შვილიშვილი ჰყავდათ და მეხუთე სწორედ იმ დღეს შეეძინათ. ალბათ ეს რიცხვი მეტ-ქერ თუ არა, ნაჯერ მაინც გაიზრდება და იმრავლებს.

ამ ოჯახის სიკარგე ჩვენთვის არ იყო უცხო, ასე რომ ჩემი სტუმრობის მიზანი მაინც სხვა იყო. გავიგე, რომ ქალბატონ მერის 204

დღეობი

კილოგრამი აბრეშუმის პარკი ჩაბარებია სახელმწიფოსათვის. ცოტა არ იყოს შეგვეძლო, ნუთუ მართლა ამდენი? მაგრამ დავფიქრდი და მივხვდი, რომ ოჯახში, სადაც თერთმეტი შრომისუნარიანი ადამიანი და ამასთან ერთად თანადგომა, მონღოებმა და შრომის სიყვარული; გაუკეთებელი არაფერი ღარჩება, ციფრი მართლაც დადასტურდა, ყველა დამეთანხმება, თუ რა შრომატევადია ამდენი მუშის გამოკება, მაგრამ მთავარი მონღოებმა.

საუბარში შეყვებით, სიტყვა ჩამოუვდებ როგორც მრავალშვილიან დედას, თუ გისარგებლიათ რაიმე პრივილეგიებით-მეთქი, გულისტვილით უარით მიპასუხა, თან დაატანა—მხოლოდ ერთი პენსია დამენიშნა ვადაზე ადრეო, არადა... რამდენ დაბრუნებებს ვიძლეოთ, რამდენ გამამხნეველ სიტყვებს ვამბობთ... მხოლოდ დანტერესების მიზნით?

დამწვლადებისას კიდევ ერთხელ ვიწამე უკვდავი სტრუქტურები: „შრომა უდიდესი სიქველ ამქვეყნად და არაფერი არ ამშვენებს ადამიანს ისე, როგორც შრომაში გამოჩენილი სიმამცე“, დემეტრე გვიმრალოს შრომისაგან დამწვნიებული ადამიანები.

შორენა ხეცურიანი

კეთილშობილი
მარცხენა
საშვილი

შვილო
საქმე

თითონადადწამოსხმული ამაყი კაციახონის, ასხისა და ხვამლის მთები დარაჯად შემოკრიბან სოფელ ზუბს. სოფლის ბოლოში ქარაფები მდინარე ცხენისწყალს გაშვებითა და თავვერ ზღვაში შესართავად მიედინება. ამ სოფლის სილამაზეს იმდენად მოუხიბლავს სამეგრელოს მთავარი დავით დიანი და მისი ძმა კონსტანტინე, მათ ზუბში საზაფხულოდ სასახლე აუშენებიათ, დღესაც ზუბელები მათ ნაფუძვარს „დადიანისულის“ ეძახიან.

საქართველოს ორი კუთხის სადადიანოსა და ლეჩხუმის ზნე-ჩვეულებები დროთა განმავლობაში ერთმანეთს შერწყმია და ძალზე სასიამოვნო გავლენას ახდენს სტუმრად მოსულ ადამიანებზე.

უკანასკნელ პერიოდში ბევრი სასიკეთო საქმეები გაკეთდა. ზუბში აშენდა საშუალო სკოლის კეთილმოწყობილი შენობა, გაიხსნა საბავშვო ბაღი, აშენდა კავშირგაბმულობის შენობა, კეთილმოეწყო საავტომობილო გზები, აიგო ხიდები და სხვა, ზუბს ჩაუდის სოფლის მდინარეები, არის წყაროები, მაგრამ სოფელი განიცდის სახმელი წყლის ნაკლებობას, თითქმის ოცი წელია დაგეგმილია წყალსადენის მშენებლობა, დამტკიცებულია პროექტი, მაგრამ პრაქტიკულად არ განხორციელდა მშრომელთა ეს სასიცოცხლო საქმე.

ზუბელთა ამ ნანატრი ოცნების აღსრულებას უკვე ჩაეყარა საფუძველი. ამ საშვილიშვილო საქმის შესრულებას თავისი ინიციატივით სათავეში ჩაუდგა ცაგერის საგზაო სამმართველოს უფროსი, ზუბის საკრებულოს დეპუტატი ოლეგ გიორგობიანი, ფულადი თანხა კი გამოყო უსახელმწიფო მშენებლობის საბჭოთა მეურნეობამ. მისი ხელმძღვანელობით დაიწყო წყალსადენის მშენებლობა, რასაც დიდი ენთუზიაზმით შეხვდა ხალხი, სამუშაოს შესრულებასე ერთგულად მუშაობენ უფროსი ასაკის ადამიანები: ვახტანგ, ანზორ, საშა, გიგლა, ნოდარ, ოთარ, კაკო ბენიძეები, ომარ მინდაძე, შალვა, დავით ომანაძეები და სხვები.

უფროსებს მხარში ამოუდგნენ სოფლის ახალგაზრდები ვალერი, დიო, ელგუჯა ბენიძეები, მერაბ კოპალიანი, ნიკა, როსტომ ჩაკეტაძეები, მამუკა მამარდაშვილი, გოგიტა ომანაძე და სხვები.

სტუდენტი და მოსწავლე ახალგაზრდები თავიანთ ენერგიას არ ზოგავენ, რომ სოფელი დროულად იქნეს უზრუნველყოფილი სასმელი წყლით.

მაღე ასრულებდა ზუბელთა საწუკარი ოცნება, წყალი—სიცოცხლის აუცილებელი პირობა—იჩუხჩუხებს ყველა ეზო-კარში.

ნიკა ჩაპვინაძე
სოფ. ზუბი.

ნიმუში

ოთხი წლის იყო მიხეილ ირემამე, მამა რომ გარდაეცვალა. მცირეწლოვანი დაძმა მხოლოდ დედის მზრუნველობის ქვეშ დარჩა. დედის ძალიან გაუქირდა ბავშვების მოვლა და აღზარდა, ამიტომაც იძულებული შეიქნა პატარა მიხეილი ცაგერის საბავშვო სახლში შეეყვანა, ხალხს უდებამო ბავშვები იზრდებოდნენ სახელმწიფოს ხარჯზე. საბავშვო სახლში სწავლისა და ცხოვრების პერიოდს მუდამ სიყვარულითა და კეთილი განწყობილებით იკონებდა.

ჩვენს აღმზრდელ-მასწავლებელს, იგონებდა იგი, ცაგერის ალფრედის ასულ ჩაჩიანს დედობით მივმართავდი, დედასავით მიკურდა, ბავშვების აღზრდასა და ჩამოყალიბებაში იგი დიდ სიბიძისა და სიყვარულს აქსოვდა.

მ. ირემამე 1936 წელს დაამთავრა ცაგერის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმი.

1939 წელს მიხეილ ირემამე გაწვეულ იქნა საბჭოთა არმიაში სამსახურისათვის. 1941 წლის 22 ივნისს, დიდი სამამულო ომის დაწყების პირველსავე დღეს, უკვე ფრონტის წინა ხაზზეა, ფაშისტ არმიალებს ებრძოდა ბალტიის ზღვისპირეთის, ბელორუსიისა და ლენინგრადის ფრონტებზე. ბრძოლებში რამდენჯერმე დაიჭრა და კონტუზია მიიღო. ქარიდან 1946 წელს იქნა დემობილიზებული.

მ. ირემამე საბჭოთა არმიიდან დემობილიზაციის შემდეგ სხვადასხვა დროს მუშაობდა მასწავლებლად სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმი, აგრეთვე ცაგერის სახალხო თეატრში მსახიობობდა და არაერთი როლი განუხიერებია სცენაზე. იყო კულტურის რაიონულ სახლთან არსებული ომის ვეტერანთა მომდერათა გუნდის აქტიური წევრი.

**იგი სამშობლოს
უფლებდა**

ორი ათეული წლის წინათ ცაგერის რაიონული გაზეთი წერდა: „სახალხო თეატრმა, რომელშიც არაპროფესიონალი, მაგრამ უდაოდ ნიჭიერ შემსრულებელთა ჭაფუფი მუშაობდა, ბევრ-ჯერ გვიჩვენა შესანიშნავი ფერებით შექმნილი სპექტაკლები. სპექტაკლში „ახალგაზრდა მასწავლებელი“ მოხუცი მასწავლებლის სიმონ ფერაძის როლს კარგად ასრულებდა მსახიობი მიხეილ ირემამე“.

ცაგერის სახალხო თეატრი გასულით სპექტაკლებს უჩვენებდა ლენტისის, ონის, ამბროლაურისა და სხვა ახლომდებარე რაიონებში, აგრეთვე ქალაქ ქუთაისში, სადაც მასურებელთა მოწონებას იმსახურებდა.

ქუთაისის საქალაქო გაზეთი არაერთ გულთბილ სტრიქონებს უძღვნიდა ცაგერის სახალხო თეატრის მსახიობების სასცენო ისტატობას.

ერთხელ, ეს იყო ორი ათეული წლის წინათ, ქუთათურ მაყურებელს სახალხო თეატრმა უჩვენა ორი სპექტაკლი: გრ. ბერძენიშვილის დრამა „ნატყვიარი ჰადარი“ და ლ. მილორავას კომედია „მოხუცის გული“. გაზეთი „ქუთაისი“ ერთ-ერთ რეცენზიაში წერდა: „არ შეიძლება ცალკე არ აღინიშნოს მიხეილ ირემამე 125 წლის მოხუცის

ერთხელ, ეს იყო ორი ათეული წლის წინათ, ქუთათურ მაყურებელს სახალხო თეატრმა უჩვენა ორი სპექტაკლი: გრ. ბერძენიშვილის დრამა „ნატყვიარი ჰადარი“ და ლ. მილორავას კომედია „მოხუცის გული“. გაზეთი „ქუთაისი“ ერთ-ერთ რეცენზიაში წერდა: „არ შეიძლება ცალკე არ აღინიშნოს მიხეილ ირემამე 125 წლის მოხუცის

შეგარის როლში. შემსრულებელი იმდენად ბუნებრივი და უშუალოა, რომ ჩვენ გგვჩნება, მისი ყოველი სიტყვა და მოქმედება“.

ასეთივე იყო იგი თეატრის მიერ დადგმულ თითქმის ყველა სპექტაკლში, ამიტომაც იყო, რომ მ. ირემამე კულტურის სამინისტრომ რამდენჯერ დააჯილდოვა დიპლომებითა და ფასიანი საჩუქრებით.

მ. ირემამე ლექსებსაც წერდა. ამახად ცაგერის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი სათუთად ინახავს მისი ლექსების ხელნაწერ წიგნს, რომლის სათაურია „გუმ-დერი ქვეყნად სიკეთეს“ (გაღმოცვლა მისმა ქალიშვილმა ქალბატონმა ც. ირემამემ).

მ. ირემამის ლექსები დაიბეჭდა ცაგერის რაიონული და ქუთაისის საქალაქო გაზეთების, რესპუბლიკურ გაზეთ „სახალხო

განათლებისა“ და უფროს „განათლის“ ფურცლებზე. მ. ირემამე თავის ლექსებში უმდეროდა სამშობლოს, პატიოსან შრომას, ზრდილობასა და პატიოსნებას, ქვეყნად სიკეთის დამკვიდრებას. სამშობლოზე, ერზე შეყვარებულნი ასეთ სტრიქონებს გვთავაზობს:

„შენ გაგიმარჯოს ქართველი
ერო,
შრომისმოყვარე და ბედნიერო,
შენ გაგიმარჯოს, ჩემო მამულო,
ცავ საოცნებო, ცავ მეწამულო,
ქართული ზვარო, მიწავ
ქართული—
ბაღ-ვენახებით მეგრდმოქარ-
გული“.

ლექსში „დედა-ენა“ იგი წერს: „...მშობლიური ხარ, ტბილი ხარ, ასე ვინ გამოკვეთაო, ვინ აგაყვავა, დაგლოცა, გიმღერა, აგამღერაო. მაშ, დაელოცოს კერია, ასე ვინც აგაუღერაო, შენ, ჩვენი აზრის და ნიჭის მანათობელი ენაო“.

ფრონტებზე მიღებულმა ჭრილობებმა თავისი გაიტანა და იგი რამდენიმე წლის წინ მძიმე ავადმყოფობის შედეგად გარდაიცვალა. დატოვა შვილები და შვილიშვილები, უამრავი მეგობარი და ამხანაგი, რომლებიც დღეს ამაყად იხსენებენ მ. ირემამის შრომასა და საქმიანობას, მის პატიოსნებასა და თავდადებას სამშობლოსა და ხალხის წინაშე.

ვლ. ხეცურიანი
ცაგერის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის დირექტორი.

